

პეტრე ღილა

როგორ მოაყვლილ ვახტანგ გეგევი

და

3000 ოჯახი ქართვალთა

37048



ზ. ჭიჭინაძისა



თბილისი

სტანბა, სორაპანი, მადათოვის კუნძული

1920 წ.



საქართველოს სამეფოს და ერის დაღუპვის ისტორიაში ამ ეპოქას მეტად დიდი ადგილი უნდა დაეთმოს. მასთან ვალდებულნი ვართ, რომ ასეთ გარემოების შესახებ, როგორც არის საქართველოს დაღუპვის დასაწყისი, სისწორით ვიცოდეთ.

ზოგიერთნი რუსნი ხშირად გვეყვებიან და გვამუნათებენ, რომ საქართველო რუსეთის იმპერიამ დაიხსნაო. ქართველები დღე და დამ რუსეთის იმპერატორების წინ იდგნენ და შეერთებას ევედრებოდნენო. ბევრი ხვეწნის შემდეგ, საქართველო რუსეთმა შეიბრალო და შეიერთაო.

თამამად ბრძანებენ: კიდევ შემდეგ: ქართველებს რუსებმა ჩაუგდეს პირში სულიო. ქართველნი მუსულმანთა მონობისაგან დაიხსნეს და გაანთავისუფლესო. თუ არ რუსნი. უამისოდ დღეს ქართველთა ხსენებაც აღარ იქნებოდა დედამიწის პირზედაო. ამიტომაც ქართველები რუსების მონარქების წინაშე ხმაჩაწყვეტილები უნდა იყვნენ და კრიტიკაც არ სძრავდნენ საქართველოს თავისუფლების შესახებო.

ამ აზრის იყვნენ რუსები. მათი სახელმწიფო პირნი და ხელმწიფის საგვარეულო წევრნიც. ასე-

თისავე ყალბის შეხედულების იყვნენ თვით ბევრი ქართველნიც.

ქეშმარიტად, თუ კი მართლა ეს გარემოებაა სწორე, თუ კი მართლა ჩვენი მეფენი რუსთა იმპერატორებს ეხვეწებოდნენ და ევედრებოდნენ — გვიშველეთ და შეგვიერთეთო, მაშინ, ჩვენც ვალდებულნი ვართ, ეს ისტორიული პირობები სისწორით ვიცოდეთ და მასთან ჩვენს მოამაგე მეგობრებსაც ვუმაღლოდეთ და სიკეთისათვის სამაგიეროს ვუხდიდეთ.

მაგრამ, ხშირად თუ ეს ასე არ არის და ამ ისტორიულს პირობებში ბევრი რამ თაღლითობაა, მაშინ ვალდებულნი ვართ, რომ ესეც კარგად და ზედმიწევნით გავიცნათ.

ამიტომაც ამ გარემოების შესახებ წერა და ლაპარაკი საჭიროდ დავინახეთ, რათა ჩვენც ვიცოდეთ კარგად ჩვენი ქვეყნის შესახებ ყოველივე.

საქართველოს სამეფოს დაღუპვის ცდის დასაწყისი რუსთაგან მეჩვიდმეტე საუკუნიდან იწყება, ხოლო ჩვენ კი ამ გარემოების აღნუსხვას პეტრე დიდიდან ვიწყებთ, რადგანაც ამის წინად ყოფილ რუსთა ნატვრა მხოლოდ წადილი, ოცნება იყო და პეტრე დიდმა კი ეს წადილი საქმედაც აქცია. საქართველოს დამორჩილების თუ დაქერის ოსტატობა პირველად პეტრემ წამოსწია წინ.

საქართველოს რუსეთის ხელში ჩაყარდნას სწორედ რომ ბოროტი ისტორია აქვს.

პეტრე დიდმა თავის მეფობის და მოქმედების ხანაში უპირველეს სამთო ვალად დაისახა საქართველოს დაჭერა, ამის ნატვრა მას უაღრესად ჰსურდა, რადგანაც კარგად იცოდა საქართველოს მნიშვნელობა, საქართველოს სიმდიდრე, მადნების სიმრავლე და სხვა.

ყველა ამის გარეშე პეტრე დიდს ქართველების დაპყრობა იმიტომ უფრო უნდოდა, რადგანაც ქართველნი მათი მერჯულენი იყვნენ და ამ გზით მოაწყობდნენ იმასაც, რომ ბოლოს საქართველო რუსეთად იქცევოდა. ქართველსაც გაარუსებდნენ ისევე, როგორც ეს ხდებოდა რუსთაგან სლავიანთა ტომებზე.

ამისთვის პეტრე დიდი გათავსიებული იყო და არ იცოდა რა ექმნა. საიდან რა დაეწყო, საქართველო როგორ ჩაეგდო ხელში, როგორ დაპატრონებოდა ამ ძვირფას ქვეყანასა და ერს, როგორც ექმნა ბოლოს მიაგნო გზასა და კვალს, მალე მოქმედებაც დაიწყო საქართველოს დასაპატიმრებლად. იშოვნა ერთგული კაცები, იგინი მალე გამოგზავნა საქართველოში საზვერავად.

ასეთმა პირებმა კარგად იღვაწეს პეტრე დიდის დავალებით და საქართველოს საქმეები პეტრე დიდს კარგად გააცნეს, გააცნეს საქართველოს როგორც შინაური საქმენი, ისევე საგარეო, სამხედრო, სამოქალაქო და სხვა.

იმ დროს, საქართველოში მეფობდა ვახტანგ

მეექვსე, კაცი შეგნებული, თავის ღროის კვალად გონიერი მეფე, პეტრე დიდმა ესეც მალე გაიცნო და გაცნობა და მეგობრობა მათში ისე წარემართა, ისე მოეწყო, როგორც პეტრე დიდის გულს ენატრებოდა და სურდა, ვახტანგ მეექვსის გაცნობის გარდა პეტრე დიდის გულის წადილად და ნატვრის ასასრულებლად პეტრე დიდმა მოაწყო საქმენი და ვახტანგ მეექვსეს პირადად გაცნობის ნახვაც განუცხადა. ეს რასაკვირველია ვახტანგსაც დ დად ესიამოვნა, რადგანაც პეტრე დიდი იყო კეისარი, ანუ იმპერატორი და მასთან ქრისტიანი, საქართველოს ერის მერჯულე და მასთან მეზობელიც. არამც თუ პეტრე დიდი, არამედ ამის მეგობარი ვახტანგ მეფეც დიდად ნატრობდა.

მალე მოეწყო საქმე, ვახტანგ მეფე გახდა პეტრე დიდის საყვარელი პირი, მათში გაიმართა მიწერ-მოწერა, მოციქულების გზავნა, მასთან დეშქაშების მირთმევაც და ბევრიც სხვა ასეთები. პეტრე დიდი ვახტანგ მეფის ღმერთად აღმდსჩნდა. მართლაც პეტრე დიდი პირადად ვახტანგს დიდს ერთგულებას უჩვენებდა, დიდს სიყვარულს და დიდს ნატვრას საქართველოს სიკეთის და ვახტანგ მეფის გაძლიერებისას. პეტრე დიდი ისე ოსტატურად მოიქცა რომ ვახტანგ მეფეს გარდა, მან თავის თავი მთელს ქართველობასაც შეაყვარა.

ასე მოაწყო პეტრე დიდმა თავის საქმენი საქართველოს მეფისა და ქართველის ერის წინაშე.

ამის მეოხებით ვახტანგ მეფესა და პეტრე დიდს შორის გაიბა მეგობრობის ქსელი დაახლოვებით კაცების გაგზავნ-გამოგზავნა, წერილების წერა, სალამი და დიდი მეგობრობა, რასაც ყოველთვის თან სდევდა ქრისტიანობის სჯულის ერთობა, პატივისცემა და ვითომდა რუსთაგან ერთმანეთის სიყვარული.

ვახტანგ მეფემ საქართველოში დიდის გონიერებით დაიწყო მოქმედება, ქართველი ერის სასარგებლოდ ვახტანგ მეექვსემ ბევრი რამ კარგი გააკეთა, ეს გარემოება კი პეტრე დიდს ძლიერ აშინებდა და აღარღებდა, იმიტომ, რომ ვახტანგი ჭკვიანი კაცია და ვაი თუ მისი მოტყუილება ვერ მოვახერხო და საქართველო ვერ ჩავიგდო ხელშიო.

1708 წ. თბილისში, ვახტანგ მეფემ გახსნა პირველად ქართული სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა.

1712 წ. ცალკე წიგნად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ რაც ერთობ დიდი საქმე იყო ქართველთ ცხოვრებაში.

1721 წ. გამოსცა თარგმნილი წიგნი „აიათი“ ანუ „ცის ქმნილებათ“ წოდებული სხვათაგან. ე. ი. „კოსმოგრაფია“ ფიგურებით.

1722 წ. თბილისშივე გახსნა საექიმო სასწავლებელი.

1723 წ. თბილისში გახსნა აფთიაქი.

თბილისშივე განაგრძო ქართველ ექიმთა და დოსტაქრების რიცხვი.

დახსნა თბილისში საეკლესიო სკოლები, გააფართოვა თბილისში ქართველ კათოლიკეთა სკოლა და ეკლესიის საქმენი.

თბილისის მოქალაქეებს მიანიჭა კარის კაცებზე უპირატესი ღირსება, თბილისის მოქალაქენი აზნაურის შეილებზედ მაღლა დააყენა, ამიერიდან დაიღო მოქალაქეთა პატივსაცემლად ისეთი წესები. რომ მოქალაქენი მეფის კარის კაცთა დაუკითხავად ეწვეოდნენ სახლში. 1811 წ. რუსებმა ეს მოქალაქენი იცნეს „პაჩოტნი გრაჟდანიებად“.

ამავე მეფის ბრძანებით 1710 წლიდან, თბილისში იწყეს სხვა და სხვა ქარხნების დახსნა, მაგალითებრ გახსნეს ქალაქის ქარხანა, შაქრის ქარხანა, სტამბის საბეჭდი შავი და წითელი წამლის ქარხანა და ბევრიც სხვა.

ვახტანგის მეფობაში, ყველაზედ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ მან საქართველოს დახმარებისათვის რომის პაპას და საფრანგეთის მეფეს ლუი მეოთხემეტეს მიმართა, მოციქულად საბა ორბელიანი გაგზავნა და თან კათოლიკების ორი პატრი გააყოლა. ვახტანგ მეფე პაპს და კაროლს დახმარებას სთხოვს, რომ საქართველოს საქრისტიანო სამეფო არ დაიღუპოსო. ჩვენც ისეთი ერთგულები ვიქნებით, რომ მეფე და კათოლიკოში კათოლიკის სჯულსაც შეუერთდებით და მის მერე ჩვე-

ნის მაგალითით მთელი საქართველოს ერთი კათო-
ლიკობას მიიღებს, ოღონდ საქართველოს კი ვშვე-
ლოს რამე და არ დაიღუპოსო.

ბევრი მგზავრობის შემდეგ საბამ მიაღწია რომს.
პაპის წინაშე და მის შემდეგ პარიზში, ნახა ლუი
მეთოთსმეტე და ვახტანგ მეფის დავალება დაჩოქი-
ლმა ცხარე ცრემლებით გადასცა. ვახტანგ მეფე სა-
ფრანგეთის მეფეს აძლევდა შემდეგ პირობებს:

1. საფრანგეთის ხელმწიფე საქართველოს თუ
დახმარებას აღმოუჩენს, მაშინ საქართველოს მეფე,
კათოლიკოზი და მთელი ერი უკავშირდება კათო-
ლიკის სარწმუნოებას.

2. საფრანგეთის ხელმწიფე ტფილისში თუ და-
ნიშნავს თავის კონსულს, მაშინ საქართველოს მეფე
გაუკეთებს მას საკუთარ სახლს და მისცემს საცხო-
ვრებელს ულუფას.

3. ფრანკუზები საქართველოს გზით თუ დაი-
წყებენ ვაჭრობას, მაშინ საქართველოს მეფე მათ გაუ-
კეთებს გზებს, დაუდგენს გზებზე ფოსტებს, დაუყუ-
ნებს გზის მცველთ და მფარველებს, რომ ვაჭრები
არავინ გასძარცვონ.

4. საფრანგეთის ხელმწიფე თუ ისურვებს სა-
ქართველოს დახმარებას და საქართველოში გამოგ-
ზავნის თავის ნასწავლ კაცებს, რომ საქართველოში
მათ შემთიტანონ ევროპიული სწავლა და წყობი-
ლება, ყველა ამაებს ქართველები დიდის დახმარე-
ბით მიიღებენ და დახმარებასაც აღმოუჩენენ.

საბა ორბელიანის პირობები მეტად საინტერესო განძია ჩვენის ისტორიისათვის, ამას აქ ადგილი არა აქვს და ამიტომ აქ ეს ასე მოკლედ მოვსჯერით. ჩვენ მივალთ ისევ პეტრე დიდის ეშმაკობაზედ.

ყველა ამ ამბებს და ვახტანგის მიმართვას ევროპასთან, პეტრე დიდი შურჩიანის და მგლურის თვალთ უმზერდა, დარდით გული უსქდებოდა, აღარ იცოდა რა ექმნა და საქართველოს დაქვრის საქმისთვის საიდან მოეარნა. ნამეტურ პეტრე დიდს ის გარემოება უფრო ადარდებდა, რომ ვახტანგ მეფე რომის პაპს და ლუდოვიკ მეთოთხმეტეს ავალეზდა და ჰპირდებოდა, რომ თუ თქვენ საქართველოს ერს უშველით რამით, მაშინ ჩვენ მზათა ვართ, რომ კათოლიკობაც მივიღოთ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რონ ეს მეფე ამავე დროს, სპარსეთის მთავრობასთანაც კეთილ განწყობილებაში იყო, მეგობრობა ჰქონდა სპარსეთის ყაენთან. ვახტანგ მეფემ ყეინის დავალებით, სპარსეთში ისლამიც აღიარა. თუმცა ისიც ვიცით კარგად, რომ ისლამში მყოფმა ვახტანგ მეფემ, სპარსეთში მყოფ კათოლიკე მისიონერის მამა ბარბარე ფედელის წინაშე აღიარა, რომ ისლამს მე ყაენთან ვაღიარებ და საიდუმლოდ კი კათოლიკე ვარო.

მეფეების ქებას და მათი შრომის გაზვიადებით აღწერას ჩვენ არ ვსაჭიროებთ. ქება და დიდება ჩვენს დროს აღარაფის გამოადგება, ხოლო რაც ისტორიულად მართალია და ქეშმარიტი ის კი უსა-

თუოდ უნდა ითქვას და ცნობილი იქმნეს. პეტრე დიდისა და ვახტანგ მეფის შედარება რომ იქმნეს, მაშინ ვახტანგ მეფე პეტრე დიდზედ ბევრით გონიერი გამოვა და განათლებული. ამ გარემოებას თვით ამ პირთა ცხოვრების ბიოგრაფიული ცნობებიც ამტკიცებს, რასაც ჩვენი ლაპარაკი არა სჭირია.

პეტრე დიდი ვახტანგ მეფეზედ გონიერებით ბევრად დაბლა იდგა, ვახტანგ მეფე პეტრე დიდზედ ბევრათ შეგნებული იყო და მჯობთა მჯობი, ამას ასაბუთებს მარტოთ ვახტანგ მეფის მიერ ვარსკკლავთ მრიცხველების ცოდნა და ამ ბოლოს დროს თფილისში აღმოჩენილა ვარსკკლავთ მრიცხველობის ძვირფასი განძი. პეტრე დიდი ვახტანგ მეფეზედ მალა იდგა მხოლოდ გველაძუობით და ეშმაკობით, ისიც მხოლოდ ვახტანგ მეფის წინაშე, თორემ ვახტანგს იქით პეტრე დიდი თავის ეშმაკობას ვერსად გამოიყენებდა, პეტრე დიდის გველაძუობას დიდათ ეხმარებოდა საქართველოს ის გარემოება, რომ იგი ქრისტიანი მეფე იყო და ქრისტიან მეფეს და ისიც კეისარს ვახტანგ მეფე დიდათ სცემდა პატივს და აფასებდა. ვახტანგ მეფე პეტრე დიდის პოლიტიკას სულ ვერ იმჩნევდა და მას თითქმის წმინდანად სახავდა.

ესეთი მიაბიტი შეხედულება ვახტანგ მეფისა იყო ზომიერი და საპატიო, ამითი სარგებლობდა პეტრე დიდი და მიტომაც მეცადინეობდა ეს ვახტანგ მეფის დასაღუპად და საქართველოს დასაჩემებლად.

ამისთვის პეტრე დიდმა ისიც კი მოახერხა, რომ მან ვახტანგ მეფე რუსეთში მიიწვია, ამით სურდა, რომ ვახტანგ მეფე საქართველოს განშორებოდა. რაკი ეს მოხდებოდა, მას მერე შეიძლებოდა რომ საქართველოსაც დაპატრონებოდა. ვახტანგ მეფეს მიპატიჟების დროს, თან ეძლეოდა დიდი დაპირება საქართველოს ასაყვავებლად.

ეს პატიჟი და დაპირება ისეთი კილოთი იყო მომართული, რამაც ვახტანგ მეფე დიდათ გაახარა და მალიად აიყოლია, ვახტანგს ისე გაუხარდა, რომ მან პეტრე დიდს მალე მიუგო პასუხი და თან შეუთვალა ყველაფრის თანხმობა და რუსეთში წვევა. აუწყა, რომ რუსეთში გეწვევით არამც თუ მარტოთ შეო, არამედ მე გიახლებით მთელის ჩემის დიდებულებითაო. რადგანაც ჩემს გარდა თქვენი ერთგულება ყველა ჩემს დიდებულებს ჰსურთო, მათში ყველას სწადიან თქვენს წინაშე სამსახურით თავის გამოჩენაო.

პეტრე დიდის ნატვრასაც ეს შეადგენდა, ამ ბოროტმა ვახტანგ მეფეს კარგათ შეჰნიშნა ის გარემოება, რომ იგი გონიერი კაცი იყო და ვიღრე იგი იქნებოდა საქართველოში, მინამ პეტრე დიდი ვერ მოახერხებდა საქართველოს ხელში ჩაგდებას, ამიტომ საჭირო იყო უპირველესად ის გარემოება, რომ ეს გონიერი მეფე თავის ქვეყანას მოშორებოდა, იგი თავის ქვეყანას მოსცილებოდა, თორემ

უამისოდ პეტრე დიდი საქართველოს ვერ ეღი-
სებოდა.

პეტრე დიდის ესეთი მოსაზრება იყო ქართველ-
თათვის მეტად მძიმე და უბედური, აუტანელი და
თითქმის დასალუბიც, პეტრე დიდმა ისურვა ვახტან-
გის მოტყუილება და საქართველოდან მოშორება
ისეთს ღროს, როცა ვახტანგისთანა კაცები ჩვენს
ქვეყანას დიდათ სჭირდებოდა, საქართველოს ასეთი
გასაჭირი პეტრე დიდმაც კარგათ იცოდა, მაგრამ
იმას საქართველოს გაჭირვებასთან საქმე არ ჰქონდა.
მას სურდა საქართველოს დამბობა და ამას ნელა-
ნელა იგი ახერხებდა კიდევ. დანარჩენთან მას ქარ-
თველების დარდი არ ჰქონდა.

პეტრე დიდი მალე მიხვდა იმ გარემოებას, რომ
საქართველოს იგი ადვილად ვერ ჩაიგდებდა ხელში.
მისთვის ეს ძნელი იქნებოდა იმ დრომდე, ვიდრე
ვახტანგ მეფე ქართველთ მეფეთ იქნებოდა, იგი იმა-
საც მიხვდა კარგად, რომ საქართველოს დასაქერად
მარტო ვახტანგ მეფის მოშორება არ კმაროდა, ამას
გარდა უნდა მომხდარიყო ისიც, რომ ვახტანგ მეფეს
სპარსეთი გადაჰკიდებოდა, ამის ნატვრის შემდეგ.
პეტრე დიდმა ესეც მოახერხა, ჯერედ ვახტანგ მეფე
შეაძულა სპარსეთს და მის მერე მისი დამარცხებაც
მოჰყვებოდა საქართველოდან. ეს ასეც მოხდა და
პეტრე დიდმა ყოველივე შეისრულა. ვახტანგ მეფე
თავის აღმზრდელ სპარსეთსაც გადაჰკიდა და მერე
საქართველოსაც მოაცილა იგი.

პეტრე დიდს სპარსეთის შექულება იმის ძალათ სწაჰდა, რომ სპარსნი ქართველთ შეაწუხებენ და მის შემდეგ მეც გამიადვილდება საქართველოს დაჭერაო, თუ ქართველები სპარსეთს არ შევაძულე, უამისოდ ჩემი საქმე ვერ შესრულდებაო. მართლა ასეც მოახერხა მან და ვახტანგ მეფეს სპარსეთის ყენი და ხალხი სასტიკად გადაჰკიდა. როცა ეს ბოროტება მოხდა და ვახტანგსა და სპარსთა შორის დაიბადა მტრობა, მის შემდეგ პეტრე დიდმა ვახტანგ მეექვსეს რუსეთში მოწვევა და მგზავრობაც დაუჩქარა.

ვახტანგ მეფეც დაემორჩილა თავის ჩუმი მტრის განზრახვას და იწყო მგზავრობისათვის სამზადისი. რამაც სპარსეთი უფრო გადაამტერა საქართველოზედ და სპარსთა და ქართველთა შორისაც ჩამოვარდა დიდი ბოროტება და მტრობა. პეტრე დიდსაც სწორედ ეს უნდოდა და მისი გესლით სავსე გულიც ამას ნატრობდა.

სპარსეთის ყენმა ვახტანგ მეფის რუსთაგან მოტყუილება მალე შეიტყო. ამიტომ ვახტანგ მეფეს ღარიგება და გაფრთხილება აუწყა ასე:

ვახტანგ, შენს აღმზრდელ სპარსეთს ნუ დალატობ და რუსებს ნუ ემხრობი, საჩუქრებს ჩვენგანაც მიიღებ, ოღონდ შენ პეტრეს კავშირს თავი გაანებე. მართლაც ვახტანგ მეექვსეს მალე გამოუგზავნა დიდი საჩუქრები და სთხოვა რუსეთთან მეგობრობის დაშლა. ამ საჩუქრების მორთმევას პაპუნა ორბელიანი ასე აღწერს:

„მოართვეს აზატხანისაგან გამოგზავნილი ფეშქაშნი მძიმენი და უცხო ქსოვილნი ლარნი ტურფანი, საკადრისად მეფობისად მათის“. ასეთის პატივისცემის და სპარსთა დარიგების შემდეგ ვახტანგ მეფემ მაინც არ დაიშალა რუსეთთან მეგობრობა და ეს პეტრე დიდს უფრო ემხრობოდა. ვახტანგ მეფემ მალე მოაწყო რუსეთის მგზავრობის სამზადისი. დროით შეკრიბა ქართლ-კახეთის დიდებულები და საერთოდ გადასწყვიტეს მგზავრობის თათბირი და ამას მალეც შეუდგნენ. ამ გარემოებამ უფრო აშალა საქართველოზედ სპარსეთი.

ბევრი სამზადისის შემდეგ ვახტანგ მეფე გაემგზავრა რუსეთს. თან გაიყოლა შემდეგი პირნი:

5 ქართველი ეპისკოპოსნი, ესენი ყველა თავის შესამოსლებით და ნივთებით.

6 მღვდელი თავის მთავრობით და დიაკვნებით.

6 ბერი, თავიანთ მორჩილებით და საეკლესიო ნივთებით.

1400 ქართველის ხალხით, რომელთა რიცხვიც შესდგებოდა მთლად საუკეთესო ქართველთა მამულიშვილებისაგან, ზოგნი ამ რიცხვს ასახელებენ 3000 კაცათ. ყველა ამ პირთ თურმე რუსეთში გაჰყვა 120 ურემი ბარგისა საზიდარად, 40 ურემზე მარტოდ ძველი ქართული ნივთებით, წიგნები და სხვა და სხვა ამისთანები ეწყო, რომელიც ვახტანგმა რუსეთში გადაიტანა სულ.

ამით საქართველოს ბევრი ძველი საუნჯე და-

უკარგა, ბევრი ძვირფასი რამ ნივთები და წიგნები დაკარგეთ რუსეთში. თანხლებულებში ერივნენ როგორც ნასწავლი ქართველნი, ისევე მწიგნობარნი, იმ დროის მსწავლულნი და მეცნიერნი, ფილოსოფოსნი და ხელოვანნი და სიტყვა კაზმული მწერლებიც სამხედრო პირები და მრავალიც სხვა ასეთნი, რაც საქართველოსთვის დიდი დანაკლისი იყო იმ დროს.

ვახტანგ მეფის ასეთმა საქციელმა დაღუპა საქართველო. ესეთი დაღუპვა ვახტანგის გამოიწვია მისმა მეპიტობამ და პეტრე დიდის ეშმაკურმა მოქმედებამ. ვახტანგ მეფემ ამ საქციელით სულ გააუქმა თავის ამაგი და შრომანი, სულ უბრალოდ იქცა მისი ამაგი და მეცადინეობა. ამას გარდა ვახტანგმა ქმნა ისიც, რომ თავისი აღმზდელი სპარსეთი გადაჰკიდა საქართველოს და თვით კი ამ დროს რუსეთში წავიდა პეტრე დიდის კარზე და მით მთელი ქართველი ერი ოხრად დასტოვა მტრის ანაბარად.

ვახტანგის რუსეთში განსვლის შემდეგ ქართლს სპარსნი დაეცნენ და ისურვეს ქართლის აოხრება, მაგრამ ეს აღარ მოხდა, რადგანაც ყვინმა სთქვა: ჩვენი ორგულნი ვახტანგს გაჰყოლიან რუსეთში. ვურჯისტანში დარჩენილან ჩემი ერთგულნი და ამიტომ ჩემგან მათი აკლება არ იქნებაო. ამ სახით ქართლი გადარჩა აოხრებას და საქართველო რუსეთს მაინც ვერ ჩაუვარდა ხელში.

რუსეთში გადასახლებულ ქართველთ პეტრე

დიდს ცოცხალი ველარ მიუსწრეს, მაინც ესენი პეტრე დიდის მეუღლემ მიიღო და ქართველნი რუსეთის ვუბერნიებში აქეთ-იქით დაასახლა. მაშინდელ გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები რუსეთში დღესაც მრავლათ სცხოვრობენ, ყველა იგინი გადაგვარებულ-გარუსებულნი არიან. ვახტანგ მეფესაც ვერ წაუვიდა საქმე კარგად, პეტრე დიდის სიკვდილით მისი მოქმედების გეგმაც შეიცვალა. რუსეთიდან იგი დანიშნეს სპარსეთის კონსულად. ამის გამო მან მგზავრობა დაიწყო და 1736 წ. ასტრახანში მიიღვალა.

ასე და ამ გვარად, ეს მეფე თავის ქვეყანასაც მოსცილდა, იმდენი ქართველებით რუსეთში გადასახლდა, თავის თავიც დალუბა და მთელს საქართველოსაც დიდი ზარალი მოუტანა, მის სანაცვლოთ ვერც რუსეთიდან მიიღო რამ, ამ გვართ დალუბა ვახტანგ მეფემ თავის თავი, თავის თანხლებული ქართველები და საქართველოც.

ყოველივე ეს კი მოხდა პეტრე დიდის ეშმაკობით. არას შემთხვევაში ვახტანგ მეფე ვერ გაბედავდა საქართველოს იმ ღალატს და ეს საქართველოდან ფეხს არსად გადასდგამდა იმოდენი ქართველებით, რომ მისთვის პეტრე დიდს არ ელოლიაგებინა და მით არ ეტყუილებინა ეშმაკურათ.

ამ მოტყუილებას და ბოროტებას ჩვენ მოკლეთ შევეხეთ, იგი ვრცლათ რომ აღვნიშნოთ, ქართველ შეგნებულ მკითხველით გულში შურის ცეცხლს

947.922

4551

16

აღუნთებს და ბევრს რამეს აფიქრებინებს, ჩვენ ეს ვიკმარეთ მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ საქართველოს დაღუპვის დასაწყისი უმთავრესათ პეტრე დიდის მეფობიდან იწყება და მის მერე იგი გრძელდება კარგა ხანს. ბოლოს ხდება ის, რომ საქართველო ხდება პეტრე დიდის შთამომავალთა საკუთრებად.

ხოლო ვინ უფრო გასამტყუნებელია პეტრე დიდსა და ვახტანგ მეფეში. ამის განხილვა მომავლისთვის მიგვიჩნდება, ის კი ითქმის, რომ ვახტანგ მეფე იყო მარტო მემიტი ქრისტიანი და პეტრე დიდი კი დიდი მატყუარა და ეშმაკი მარტოთ ქართველებისთვის.



947.922

♣ 551

3260 5 226.